# რესპონდენტთა შერჩევა ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფებისთვის

წინამდებარე დანართი განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების (Stakeholders) განაწილებას სიღრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების შეხვედრებისთვის, რომლებიც უნდა განხორციელდეს ტექნიკურ დავალებაში მითითებული მე-2 აქტივობის (თვისობრივი საველე კვლევები) ფარგლებში. კონტრაქტორი ვალდებულია დაიცვას ეს ბალანსი რესპონდენტთა შერჩევისას.

## 1. სიღრმისეული ინტერვიუების განაწილების მატრიცა

საველე კვლევის ფარგლებში ჩასატარებელი 30 ინტერვიუ უნდა გადანაწილდეს შემდეგი კვოტების მიხედვით:

**ჯგუფი A: კერძო სექტორი და კომერციული აქტორები (სულ: 20 ინტერვიუ)**

- **მსხვილი გადამზიდავები / ოპერატორები (4 ინტერვიუ):** საერთაშორისო გადაზიდვების ავტორიზაციის სერტიფიკატის მქონე კომპანიების თანამშრომლები, რომელთაც საკუთარი ავტოპარკი გააჩნიათ. მოსალოდნელია, რომ უმრავლესობა იქნება ბათუმში არსებული კომპანია;
- **მცირე და საშუალო (SME) გადამზიდავები (4 ინტერვიუ):** მცირე და საშუალო სატრანსპორტო კომპანიები, რომლებიც მუშაობენ რეგიონულ მასშტაბზე, განიცდიან სიმძლავრეებისა და ხარჯების წნეხს და აქვთ საბაჟო, თუ საერთაშორისო გადაზიდვებში პრობლემების წარმოქმნის მაღალი ალბათობა;
- **საზღვაო ხაზების წარმომადგენლები, ექსპედიტორები (Forwarders) და ლოგისტიკური ოპერატორები (3 ინტერვიუ):** რეკომენდებულია ინტერვიუების ჩატარება რეგიონში მოქმედ წამყვან გლობალურ კომპანიებთან (მაგალითად: DHL და სხვა);
- **საბაჟო ბროკერები და აგენტები (3 ინტერვიუ):** დაინტერესებული პირები, რომლებიც ჩართულნი არიან კანონმდებლობის, დოკუმენტაციისა და ბიუროკრატიულ პროცესებში;
- **საწყობების, საბაჟო საწყობების, თავისუფალი ზონებისა და/ან ლოგისტიკური ცენტრების ოპერატორები (3 ინტერვიუ);**
- **სააგენტოები (2 ინტერვიუ):** იმ საწარმოების თანამშრომლები, რომლებიც მომსახურებას უწევენ პორტში შემოსულ გემებს;
- **პორტის ოპერატორი (1 ინტერვიუ):** ინტერვიუ ჩატარდება ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ოპერატორთან (Batumi International Container Terminal – BICT).

**ჯგუფი B: საჯარო სექტორი, არასამთავრობო ორგანიზაციები და ინფრასტრუქტურის პროვაიდერები (სულ: 10 ინტერვიუ)**

- **საბაჟო და სასაზღვრო ადმინისტრაციები (3 ინტერვიუ):**

  ინტერვიუები ჩატარდება საბაჟო და სასაზღვრო კონტროლის პროცესებში უშუალოდ ჩართულ ოფიცრებთან და მათ ზედამხედველებთან. რესპონდენტები წარმოდგენილი იქნებიან შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტიდან, მათ შორის ბათუმის პორტისა და სარფის საბაჟო გამშვები პუნქტების, ასევე გაფორმების ეკონომიკური ზონების (გეზ) წარმომადგენლების სახით;

- **საპორტო და სარკინიგზო ინფრასტრუქტურის ადმინისტრაციები (3 ინტერვიუ);**

- **საზღვაო სექტორი (1 ინტერვიუ):** ინტერვიუ ჩატარდება საზღვაო ტრანსპორტის მართვასა და რეგულირებაზე პასუხისმგებელი უწყების წარმომადგენელთან, რომელიც განსაზღვრავს ნავსადგურების ოპერირების პოლიტიკას და განვითარებას;
- **სარკინიგზო სექტორი (2 ინტერვიუ):** რესპონდენტები მოიცავენ როგორც სახელმწიფო სარკინიგზო ოპერატორის წარმომადგენლებს (საოპერაციო ან სატვირთო მიმართულებით), ასევე რეგიონში მოქმედ კერძო სარკინიგზო ტერმინალების ან ოპერატორების წარმომადგენლებს;
- **ადგილობრივი ხელისუფლება და განვითარების სააგენტოები (2 ინტერვიუ):** ინტერვიუები ჩატარდება იმ საჯარო უწყებების წარმომადგენლებთან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან რეგიონულ ეკონომიკურ დაგეგმარებასა და ლოგისტიკური სექტორის განვითარებაზე (მაგ., აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროები და ბათუმის მუნიციპალიტეტის სტრუქტურები);
- **სექტორული გაერთიანებები და არასამთავრობო ორგანიზაციები (2 ინტერვიუ):** რესპონდენტები წარმოდგენილი იქნებიან ლოგისტიკისა და ტრანსპორტის სფეროში მოქმედი პროფესიული გაერთიანებებიდან და ასოციაციებიდან. აქცენტი გაკეთდება სექტორის მაკრო-დონეზე არსებული გამოწვევების, მდგრადობისა და გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვების შეფასებაზე.

**ინტერვიუების განაწილება შეიძლება შეიცვალოს ACCI-ის მოთხოვნით ან/და თანხმობით.**

---

## 2. ფოკუს-ჯგუფების სტრუქტურა და მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები

საველე კვლევის შედეგების გადასამოწმებლად (ვერიფიკაციისთვის), კონტრაქტორმა უნდა მოაწყოს მინიმუმ 2 ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა:

- **1-ლი ფოკუს-ჯგუფი:** დაკომპლექტდება მხოლოდ კერძო სექტორის წარმომადგენლებისგან. მიზანია სექტორული კონკურენციისა და ოპერაციული შეფერხებების (სიმძლავრეების გადანაწილება, ხარჯები, საბაჟო და საპორტო საკითხები და ა.შ.) განხილვა;
- **მე-2 ფოკუს-ჯგუფი:** იქნება შერეული ტიპის შეხვედრა, სადაც საჯარო და კერძო სექტორის „დაინტერესებული პირები" ერთად შეიკრიბებიან საკანონმდებლო და ინფრასტრუქტურული პრობლემების განსახილველად.

**მონაწილეთა მრავალფეროვნება:** ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე პირები სასურველია შეირჩნენ იმ ახალი პირებისგან, რომლებიც არ იყვნენ ჩართულნი ინდივიდუალური ინტერვიუების პროცესში.

**დისკუსიის სტიმულირების მიდგომა (Seeding approach):**

ფოკუს-ჯგუფების დინამიკის გასაძლიერებლად, თითოეულ ჯგუფში შესაძლებელია ჩაერთოს 1–2 წინასწარ შერჩეული მონაწილე იმ ძირითად დაინტერესებულ პირებს შორის, რომლებთანაც ინტერვიუები უკვე ჩატარებულია.

ეს მონაწილეები შეირჩევიან იმ რესპონდენტებიდან, რომლებმაც ინტერვიუების პირველ ეტაპზე გამოავლინეს მაღალი ჩართულობა, აზრის არგუმენტირებულად გამოხატვის უნარი და მონაცემთა გაზიარების მზადყოფნა. მათი ჩართვა მიზნად ისახავს დისკუსიის გააქტიურებას, თემების გახსნას და მონაწილეთა შორის ინტერაქციის გაძლიერებას.